საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1933 2019 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში მდებარე 60 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.23.21.530) და დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 50 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.11.21.920) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1501 (ათას ხუთას ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №205169066).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს, საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის გარდა:

ა) №61.23.21.530 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს ამავე უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში სატრანსფორმატორო პუნქტის განთავსება;

ბ) №61.11.21.920 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 27 კვ. მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.11.02.229) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**